

საქართველოს კანონი

„ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №1-2 (33-34/7), 22 იანვარი, 1997, გვ.40) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 28-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4. ნადირობა (გარდა გადამფრენი ფრინველებისა - მწყერი, იხვი და სხვა) დაიშვება მხოლოდ ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე - სამონადირეო მეურნეობებში, აღკვეთილებში, დაცული ტერიტორიების სხვა კატეგორიების ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ზონებში და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს (შემდგომში სამინისტრო) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სატყეო სააგენტოს (შემდგომში – სატყეო სააგენტო) მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. 57-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოში ცხოველთა სამყაროს დაცვისა და მისი ობიექტებით სარგებლობის სახელმწიფო მართვას ახორციელებს სამინისტრო ასევე თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სატყეო სააგენტო და სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცული ტერიტორიების სააგენტო (შემდგომში დაცული ტერიტორიების სააგენტო)“;

3. 62-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სახელმწიფო კონტროლს ცხოველთა სამყაროს დაცვისა და მისი ობიექტებით სარგებლობის სფეროში ახორციელებს სამინისტრო ასევე თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სატყეო სააგენტო და დაცული ტერიტორიების სააგენტო“;

4. 62-ე მუხლის მე-6 პუნქტი ამოღებულ იქნას;

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი